# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 1-3

„ 27 „ იანვარი 2009 წ

09 02 2009
040.090.000.36.101.012.758

„ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის" მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და მის სტრუქტურულ დანაყოფში შექმნილი კომისიების შემადგენლობაში დამატებით უნდა შედიოდეს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი".

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

## განმარტებითი ბარათი

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის" მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში. ცვლილების თანახმად, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი აღარ შევა საინვენტარიზაციო კომისიების შემადგენლობაში.

მოქმედი რედაქციით ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და მის სტრუქტურულ დანაყოფში შექმნილი კომისიების შემადგენლობაში დამატებით უნდა შედიოდნენ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი და ქ. თბილისის მერიის კანონიერების გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი.

ქ. თბილისის მერის 2008 წლის 19 დეკემბრის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის დებულების" 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია არის ქ. თბილისის მერიის შიდაუწყებრივი კონტროლის განმახორციელებელი სამსახური, რომლის ძირითადი ამოცანებია ქ. თბილისის მერიის სისტემაში საჯარო მოსამსახურეთა და ქ. თბილისის მერიისა და მერიის წილობრივი მონაწილეობით არსებული იურიდიული პირების მოსამსახურეთა კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, ინსპექცია უფლებამოსილია შემთხვევაში დაესწროს ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კომისიების სხდომებს და შეისწავლოს მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გენერალური ინსპექცია უშუალოდ ექვემდებარება ქ. თბილისის მერს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. დაუშვებელია მის საქმიანობაში სხვა თანამდებობის პირთა ნებისმიერი ფორმით ჩარევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს გადაწვეტილების ხსენებული ნორმა სამართლებრივად მიზანშეუწონელია, ვინაიდან საინვენტარიზაციო კომისიების მუშაობაში სამსახურის წარმომადგენლის სავალდებულო წესით მონაწილეობა ეწინააღმდეგება სამსახურისათვის დაკისრებულ ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციებს.

გადაწყვეტილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის ბიუჯეტიდან.

გადაწყვეტილების პროექტის ინიციატორია ქ. თბილისის მერი.

გადაწყვეტილების პროექტის ავტორია ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის უფროსი.

# ქალაქ თბილისის საკრებულო
# TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, თავისუფლების მოედანი 2, ტელ.: 98 29 32; 93 38 58
2, TAVISUPLEBIS SQUARE, 0105 TBILISI, GEORGIA, TEL.: (+995 32) 98 29 32; 93 38 58


№ 06-1/41 „29" იანვარი 2009 წ.

ხელმძღვანელის იუსტიციის სამინისტრო

[illegible]

[illegible]

[illegible]

01/23/11- 2908
10.02.2009

საქართველოს მთავრობის კანცელარიას

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 იელისის №154 დადგენილების შესაბამისად, გეგზავნებათ:

1. „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 იანვრის №1-3 გადაწყვეტილებას (2 ფურცელი);

2. „ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მერის 2009 წლის 2 თებერვლის №14 ბრძანებას (1 ფურცელი)

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული ნორმატიული აქტების მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია.

სულ დანართი: 3 ფურცელზე.

დიმიტრი ძაგნიძე

მინისტრის მოადგილე

09.02.09

09.02.09